GEO-3 C-0 C
Ketevan Peranidze

IChO
General instructions
Cover sheet

Please return this cover sheet together with all the related question sheets.

GEO-3 C-0 G-1

G0-1


Elizbar Elizbarashvili (Georgia)

ქიმიის საერთაშორისო ოლიმპიადა 2021 იაპონია

53rd IChO2021 Japan

25 ივლისი – 2 აგვისტო, 2021

https://www.icho2021.org



GEO-3 C-0 G-2

G0-2

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

ზოგადი ინსტრუქცია

- წერისას გამოიყენეთ მხოლოდ კალამი.
- გამოიყენეთ არაპროგრამირებადი კალკულატორი.
- გამოცდა მოიცავს **9 ამოცანას**.
- ამოცანები შეგიძლიათ ამოხსნათ ნებისმიერი თანმიმდევრობით.
- ამოცანების ამოსახსნელად გეძლევათ **5 საათი.**
- **დაიწყეთ** წერა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიიღებთ **მითითებას** წერის დაწყების შესახებ.
- შედეგები უნდა ჩაწეროთ **პასუხებისთვის გამოყოფილ სპეციალურ უჯრაში.** შავი სამუშაოსთვის გამოიყენეთ საგამოცდო ფურცლის უკანა მხარე. დაიმახსოვრეთ, პასუხებისთვის განკუთვნილი უჯრის გარეთ დაწერილი პასუხი არ ჩაითვლება.
- საჭიროების შემთხვევაში დაწერეთ შესაბამისი გამოთვლები უჯრაში. მაქსიმალურ შეფასებას მიიღებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი გამოთვლაც იქნება წარმოდგენილი.
- დამკვირვებლისგან მიიღებთ გაფრთხილებას **30 წუთით ადრე** გამოცდის დასრულების შესახებ.
- **შეწყვიტეთ წერა,** როგორც კი მიიღებთ მითითებას წერის შეწყვეტის თაობაზე. მითითების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში შედეგი ანულირდება.
- საგამოცდო ტესტების ოფიციალურ ინგლისურ ვერსიას მიიღებთ მოთხოვნის შემთხვევაში.
- თქვენ არ შეგიძლიათ დატოვოთ საგამოცდო ოთახი ნებართვის გარეშე. თუ დაგჭირდებათ რაიმე სახის დახმარება (კალკულატორის პრობლემა, გასვლა საპირფარეშოში და ა. შ), აწიეთ ხელი და დაელოდეთ დამკვირვებელს.

გისურვებთ წარმატებას!

ამოცანები და ინფორმაცია შეფასებაზე

	სათაური	ჯამური ქულა	ჯამური ქულის %
1	წყალბადი მეტალის ზედაპირზე	24	11
2	იზოტოპური დროის კაფსულა	35	11
3	ლამბერტ - ბერის კანონი?	22	8
4	თუთიის ჟანგვა - აღდგენის ქიმია	32	11
5	მისტიური სილიციუმი	60	12
6	გარდამავალი მეტალების მყარი მდგომარეობის ქიმია	45	13
7	არაბენზენოიდული არომატულობით თამაში	36	13
8	დინამიური ორგანული მოლეკულები და მათი ქირალობა	26	11
9	ჰგავს და არ ჰგავს კაფსულას?	23	10
		ჯამი	100

G0-3

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

G0-4

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

ფიზიკური კონსტანტები და ფორმულები

კონსტანტები

სინათლის სიჩქარე ვაკუუმში	$c = 2.99792458 \times 10^{8}\ \mathrm{m\ s^{-1}}$
პლანკის მუდმივა	$h = 6.62607015 \times 10^{-34}\ \mathrm{J\ s}$
ელექტრონის მუხტი	$e = 1.602176634 \times 10^{-19}\ \mathrm{C}$
ელექტრონის მასა	$m_{\mathrm{e}} = 9.10938370 \times 10^{-31}\ \mathrm{kg}$
ელექტრული მუდმივა (ვაკუუმის დიელექტრიკული შეღწევადობა)	$\varepsilon_0 = 8.85418781 \times 10^{-12}\ \mathrm{F\ m^{-1}}$
ავოგადროს მუდმივა	$N_{\mathrm{A}} = 6.02214076 \times 10^{23}\ \mathrm{mol^{-1}}$
ბოლცმანის მუდმივა	$k_{\mathrm{B}} = 1.380649 \times 10^{-23}\ \mathrm{J\ K^{-1}}$
ფარადეის მუდმივა	$F = N_{\mathrm{A}} \times e = 9.64853321233100184 \times 10^{4}\ \mathrm{C\ mol^{-1}}$
აირის უნივერსალური მუდმივა	$R = N_{\mathrm{A}} \times k_{\mathrm{B}} = 8.31446261815324\ \mathrm{J\ K^{-1}\ mol^{-1}}$ $= 8.2057366081 \times 10^{-2}\ \mathrm{L\ atm\ K^{-1}\ mol^{-1}}$
უნიფიცირებული ატომური მასის ერთეული	$u = 1\ \mathrm{Da} = 1.66053907 \times 10^{-27}\ \mathrm{kg}$
სტანდარტული წნევა	$p = 1\ \mathrm{bar} = 10^{5}\ \mathrm{Pa}$
ატმოსფერული წნევა	$p_{\mathrm{atm}} = 1.01325 \times 10^{5}\ \mathrm{Pa}$
ნული ცელსიუსის სკალაზე	$0\ ^{\circ}\mathrm{C} = 273.15\ \mathrm{K}$
ანგსტრემი	$1\ \mathrm{Å} = 10^{-10}\ \mathrm{m}$
პიკომეტრი	$1\ \mathrm{pm} = 10^{-12}\ \mathrm{m}$
ელექტრონვოლტი	$1\ \mathrm{eV} = 1.602176634 \times 10^{-19}\ \mathrm{J}$
მილიონის წილი	$1\ \mathrm{ppm} = 10^{-6}$
მილიარდის წილი	$1\ \mathrm{ppb} = 10^{-9}$
ტრილიონის წილი	$1\ \mathrm{ppt} = 10^{-12}$
pi	$\pi = 3.141592653589793$
ნატურალური ლოგარითმის ფუძე (ეილერის რიცხვი)	$e = 2.718281828459045$

G0-5

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

განტოლებები

იდეალური აირის განტოლება	$PV = nRT$, სადაც P არის წნევა, V - მოცულობა, n ნივთიერების რაოდენობა, T იდეალური აირის აბსოლუტური ტემპერატურა.
კულონის კანონი	$F = k_e \frac{q_1 q_2}{r^2}$, სადაც F არის ელექტროსტატიკური ძალა, $k_e (\simeq 9.0 \times 10^9\ \mathrm{N\,m^2\,C^{-2}})$ კულონის მუდმივა, q_1 და q_2 მუხტის მაგნიტუდა, და r მუხტებს შორის მანძილი.
თერმოდინამიკის პირველი კანონი	$\Delta U = q + w$, სადაც ΔU შიდა ენერგიის ცვლილება, q გამოყენებული სითბო, w შესრულებული მუშაობა.
ენთალპია H	$H = U + PV$
ენტროპია დაფუძნებული ბოლცმანის პრინციპზე S	$S = k_B \ln W$, სადაც W არის მიკრო მდგომარეობათა რიცხვი.
ენტროპიის ცვლილება ΔS	$\Delta S = \frac{q_{rev}}{T}$, სადაც q_{rev} არის შექცევადი პროცესის სითბო.
გიბსის თავისუფალი ენერგია G	$G = H - TS$ $\Delta_r G^\circ = -RT \ln K = -zFE^\circ$, სადაც K არის წონასწორობის მუდმივა, z ელექტრონების რიცხვი, E° სტანდარტული ელექტროდული პოტენციალი.
რეაქციის მაჩვენებელი Q	$\Delta_r G = \Delta_r G^\circ + RT \ln Q$ რეაქციისთვის $a\mathrm{A} + b\mathrm{B} \rightleftharpoons c\mathrm{C} + d\mathrm{D}$ $Q = \frac{[\mathrm{C}]^c [\mathrm{D}]^d}{[\mathrm{A}]^a [\mathrm{B}]^b}$, სადაც [A] არის A ნივთიერების კონცენტრაცია.


Elizbar Elizbarashvili (Georgia)

სითბოს ცვლილება Δq	$\Delta q = nc_{\mathsf{m}}\Delta T$, სადაც c_{m} არის მოლური სითბოტევადობა, რომელიც ტემპერატურაზე არ არის დამოკიდებული.
ნერნსტის განტოლება	$E = E^{\circ} + \frac{RT}{zF}\ln\frac{C_{\mathsf{ox}}}{C_{\mathsf{red}}}$, სადაც C_{ox} არის დაჟანგული ნივთიერების კონცენტრაცია, C_{red} - აღდგენილი ნივთიერების კონცენტრაცია.
არენიუსის განტოლება	$k = A\exp\left(-\frac{E_a}{RT}\right)$, სადაც k სიჩქარის მუდმივა, A - პრე-ექსპონენციალური ფაქტორი, E_a აქტივაციის ენერგია $\exp(x) = e^x$
ლამბერტის - ბერის განტოლება	$A = \varepsilon lc$, სადაც A არის შთანთქმაe, ε - მოლური აბსორბციული კოეფიციენტი, l - ოპტიკური ფენის სისქე, c ხსნარის კონცენტრაცია.
ჰენდერსონ-ჰასელბახის განტოლება	წონასწორობისთვის $\mathsf{HA} \rightleftharpoons \mathsf{H^+} + \mathsf{A^-}$ სადაც K_{a} არის წონასწორობის მუდმივა, $\mathsf{pH} = \mathsf{p}K_{\mathsf{a}} + \log\left(\frac{[\mathsf{A^-}]}{[\mathsf{HA}]}\right)$
ფოტონის ენერგია	$E = h\nu = h\frac{c}{\lambda}$ სადაც ν არის სიხშირე, λ სინათლის ტალღის სიგრძე.
გეომეტრიული პროგრესიის ჯამი	როცა $x \neq 1$, $1 + x + x^2 + \cdots + x^n = \sum_{i=0}^{n} x^i = \frac{1 - x^{n+1}}{1 - x}$
ამოცანების ამოსახსნელად საჭირო მიახლოებითი განტოლება	როცა $x \ll 1$, $\frac{1}{1-x} \simeq 1 + x$

G0-7

Elizbar Elizbarashvili (Georgia)


პერიოდულობის ცხრილი



G0-8

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

^{1}H NMR ქიმიური წანაცვლება



G0-9

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

$\Delta\delta$ ერთი ალკილ ჯგუფის ჩანაცვლებაზე: დაახლ. +0.4 ppm

GEO-3 C-1 C
Ketevan Peranidze

IChO
Problem 1
Cover sheet


Please return this cover sheet together with all the related question sheets.

Q1-1

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

წყალბადი მეტალის ზედაპირზე

11 % of the total							
Question	A.1	A.2	B.1	B.2	B.3	B.4	**Total**
Points	6	4	5	3	3	3	**24**
Score							




წყალბადი მოიაზრება მომავლის ენერგიის წყაროდ, რომელიც არ იქნება დამოკიდებული წიაღისეულ საწვავზე. აქ განვიხილავთ წყალბადის მეტალში შენახვას, რომელიც წარმოადგენს მისი ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნოლოგიას.

Part A


ნაწილი A

რადგან წყალბადი აბსორბირდება მეტალის მოცულობაში მისი ზედაპირის საშუალებით, პირველ რიგში განვიხილოთ მეტალის ზედაპირზე წყალბადის ადსორბციის პროცესი, $H_2(g) \rightarrow 2H(ad)$,სადაც წყალბადის აირადი და ადსორბირებული მდგომარეობები შესაბამისად წარმოდგენილია, როგორც (g) და (ad). წყალბადის მოლეკულა (H_2), რომელიც ურთიერთქმედებს მეტალის ზედაპირთან (M) განიცდის დისოციაციას და ადსორბირდება H ატომის სახით (ნახ. 1). აქ H_2 -ის პოტენციალური ენერგია დამოკიდებულია ორ ცვლადზე: ატომთშორის მანძილზე d და მეტალის ატომთა ზედაპირამდე მანძილზე z. იგულისხმება, რომ H ატომების შემაერთებელი ღერძი ზედაპირის პარალელურია და სიმძიმის ცენტრი ყოველთვის იმყოფება ნახ 1-ზე ნაჩვენებ ვერტიკალურ წყვეტილ წრფეზე. ნახ.2-ზე ნაჩვენებია ზედაპირზე დისოციაციის პოტენციური ენერგიის კონტურული გრაფიკი. პოტენციური ენერგიის რიცხვითი მნიშვნელობები მოცემულია kJ ერთეულებში H_2-ის ერთ მოლზე გადათვლით. უწყვეტ მრუდებს შორის ინტერვალია 20 kJ mol^{-1}, წყვეტილ მრუდებს შორის ინტერვალია 100 kJ mol^{-1}, ხოლო უწყვეტსა და წყვეტილ მრუდებს შორის 80 kJ mol^{-1}. ნულოვანი წერტილის რხევის ენერგია უგულვებელყავით.

Elizbar Elizbarashvili (Georgia)



ნახ.1 ცვლადების განმარტება. ნახაზი მასშტაბში არ არის.



ნახ. 2.

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

A.1 შემდეგი ჩამონათვალიდან (i)–(iii), თითოეულისათვის A–G-დან **აირჩიეთ** უახლოესი მნიშვნელობა. 6pt

(i) ატომთშორისი მანძილი H_2 აირადი მოლეკულისათვის
(ii) მეტალის ატომებს შორის ატომთშორისი მანძილი (d_M ნახ.1-ზე)
(iii) ადსორბირებული H ატომებსა და ზედაპირს შორის მანძილი (h_{ad} ნახ.1-ზე)

A. 0.03 nm	B. 0.07 nm	C. 0.11 nm	D. 0.15 nm
E. 0.19 nm	F. 0.23 nm	G. 0.27 nm	

A.2 შემდეგი ჩამონათვალიდან თითოეულისათვის (i)–(ii), **აირჩიეთ** შესაბამისი მნიშვნელობა A–H - დან. 4pt

(i) აირადი H_2 -დან აირად H-ში დისოციაციისათვის საჭირო ენერგია [$H_2(g) \rightarrow 2H(g)$]
(ii) აირადი H_2-ის ადსორბციისას გამოყოფილი ენერგია [$H_2(g) \rightarrow 2H(ad)$]

A. 20 kJ mol^{-1}	B. 40 kJ mol^{-1}	C. 60 kJ mol^{-1}	D. 100 kJ mol^{-1}
E. 150 kJ mol^{-1}	F. 200 kJ mol^{-1}	G. 300 kJ mol^{-1}	H. 400 kJ mol^{-1}

Q1-4

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

ნაწილი B

წყალბადის ადსორბირებული ატომები აბსორბირდებიან მოცულობაში ან განიცდიან რეკომბინაციას და დესორბირდებიან აირად ფაზაში, როგორც ნაჩვენებია (1a) და (1b) - რეაქციებში. H(ab) წარმოადგენს მოცულობაში აბსორბირებულ წყალბადის ატომს.

$$\mathrm{H_2(g)} \underset{k_2}{\overset{k_1}{\rightleftharpoons}} 2\mathrm{H(ad)} \tag{1a}$$

$$\mathrm{H(ad)} \xrightarrow{k_3} \mathrm{H(ab)} \tag{1b}$$

ზედაპირის ერთეულოვან უჯრედზე რეაქციის სიჩქარე ადსორბციისათვის, დესორბციისაათვის და აბსორბციისათვის შესაბამისად არის $r_1[\mathrm{s}^{-1}], r_2[\mathrm{s}^{-1}]$ და $r_3[\mathrm{s}^{-1}]$. ისინი ასე გამოისახება:

$$r_1 = k_1 P_{\mathrm{H_2}} (1-\theta)^2 \tag{2}$$

$$r_2 = k_2 \theta^2 \tag{3}$$

$$r_3 = k_3 \theta \tag{4}$$

სადაც $k_1\,[\mathrm{s}^{-1}\,\mathrm{Pa}^{-1}], k_2\,[\mathrm{s}^{-1}]$ და $k_3\,[\mathrm{s}^{-1}]$ რეაქციის სიჩქარის კონსტანტებია და $P_{\mathrm{H_2}}$ $\mathrm{H_2}$-ის არის წნევა. θ ($0 \leq \theta \leq 1$) არის ზედაპირის უჯრედებს შორის ხელმისაწვდომი ფართის ის ფრაქცია, რომელის დაკავებულია წყალბადით. ჩათვალეთ, რომ ადსორბცია და დესორბცია აბსორბციასთან შედარებით სწრაფი პროცესებია ($r_1, r_2 \gg r_3$) და θ რჩება მუდმივი.

B.1 r_3 შეიძლება გამოისახოს შემდეგი სახით: 5pt

$$r_3 = \frac{k_3}{1 + \sqrt{\dfrac{1}{P_{\mathrm{H_2}} C}}} \tag{5}$$

<u>გამოსახეთ</u> C k_1 და k_2-ის საშუალებით

Q1-5


Elizbar Elizbarashvili (Georgia)

მეტალის ნიმუში ზედაპირის ფართით $S = 1.0 \times 10^{-3}\,\mathrm{m}^2$ მოათავსეს კონტეინერში (1L = $1.0 \times 10^{-3}\,\mathrm{m}^3$) , რომელშიც იმყოფება H_2 ($P_{H_2} = 1.0 \times 10^2\,\mathrm{Pa}$). წყალბად ატომების ადსორბციის ადგილების სიმკვრივე არის $N = 1.3 \times 10^{18}\,\mathrm{m}^{-2}$. ზედაპირის ტემპერატურას ინარჩუნებენ $T = 400\,\mathrm{K}$. რეაქცია (1)-ის მიმდინარეობისას, P_{H_2} მცირდებოდა მუდმივი სიჩქარით $v = 4.0 \times 10^{-4}\,\mathrm{Pa\,s}^{-1}$. ჩათვალეთ H_2 არის იდეალური აირი და მეტალის მოცულობა უგულვებელყოფილია.

B.2 **გამოთვალეთ** ზედაპირის ფართის ერთეულზე დროის ერთეულში შთანთქმული H ატომების რაოდენობა მოლებში $A\,[\mathrm{mol\,s}^{-1}\,\mathrm{m}^{-2}]$. 3pt

B.3 $T = 400\,\mathrm{K}$-ზე, C ტოლია $1.0 \times 10^2\,\mathrm{Pa}^{-1}$. **გამოთვალეთ** k_3-ის მნიშვნელობა 400 K-ზე. თუ ვერ მიიღეთ პასუხი **B.2**-ში, გამოიყენეთ $A = 3.6 \times 10^{-7}\,\mathrm{mol\,s}^{-1}\,\mathrm{m}^{-2}$. 3pt

B.4 განსხვავებულ T-ზე, მოცემულია $C = 2.5 \times 10^3\,\mathrm{Pa}^{-1}$ და $k_3 = 4.8 \times 10^{-2}\,\mathrm{s}^{-1}$. r_3-ისათვის, როგორც ფუნქცია P_{H_2}-ისა ამ ტემპერატურაზე, **აირჩიეთ** სწორი გრაფიკი (a)–(h) -იდან. 3pt



A1-1

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

წყალბადი მეტალის ზედაპირზე

ნაწილი A

A.1 (6 pt)

(i)	(ii)	(iii)

A.2 (4 pt)

(i)	(ii)

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

ნაწილი B

B.1 (5 pt)

$C =$ _____

B.2 (3 pt)

$A =$ _____ mol s^{-1} m^{-2}

B.3 (3 pt)

$k_3 =$ _____ s^{-1}

B.4 (3 pt)

_____

GEO-3 C-2 C
Ketevan Peranidze

IChO
Problem 2
Cover sheet

Please return this cover sheet together with all the related question sheets.

Q2-1

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

იზოტოპური დროის კაფსულა

11 % of the total					
Question	A.1	A.2	A.3	A.4	**Total**
Points	8	8	10	9	**35**
Score					



მოლეკულები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან მხოლოდ იზოტოპური შემცველობით, როგორიცაა, მაგალითად CH_4 და CH_3D, ეწოდებათ იზოტოპოლოგები. იზოტოპოლოგებს აქვთ ერთი და იგივე ქიმიური მახასიათებლები. მიუხედავად ამისა, ბუნებაში გავრცელების თვალსაზრისით ძლიერ განსხვავდებიან.

დაუშვით, რომ ყველა ნივთიერება ამ კითხვაში არის აირად მდგომარეობაში.

განვიხილოთ შემდეგი წონასწორობა:

$$^{12}C^{16}O_2 + {}^{12}C^{18}O_2 \rightleftharpoons 2\,{}^{12}C^{16}O^{18}O \qquad K = \frac{[{}^{12}C^{16}O^{18}O]^2}{[{}^{12}C^{16}O_2][{}^{12}C^{18}O_2]} \tag{1}$$

ენტროპია, S, იზრდება სისტემის შესაძლო მიკროსკოპული მდგომარეობის რიცხვის ზრდასთან ერთად, W:

$$S = k_B \ln W \tag{2}$$

$^{12}C^{16}O_2$ და $^{12}C^{18}O_2$ -თვის $W = 1$. $^{12}C^{16}O^{18}O$ მოლეკულისთვის კი $W = 2$, რადგან ჟანგბადის ატომები განსხვავებულია ამ მოლეკულაში. როგორც წონასწორობის 1 ტოლებიდან ჩანს, მარჯვენა მხარეს არის $^{12}C^{16}O^{18}O$ ორი მოლეკულა, $W = 2^2 = 4$.

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

A.1 ენთალპიის ცვლილება, ΔH, მე-3 განტოლებაში არის დადებითი მიუხედავად ტემპერატურისა. 8pt

$$H_2 + DI \rightleftharpoons HD + HI \quad (3)$$

გამოთვალეთ წონასწორობის მუდმივები, K, მე-3 ტოლებისთვის ძალიან დაბალ (ჩათვალეთ $T \to 0$) და ძალიან მაღალ (ჩათვალეთ $T \to +\infty$) ტემპერატურაზე. დაუშვით, რომ რეაქცია რჩება უცვლელი ამ ტემპერატურებზე და ენთალპია ΔH მიისწრაფის მუდმივი მნიშვნელობისკენ მაღალ ტემპერატურაზე.

მოცემული პროცესის ΔH შეიძლება აიხსნას მოლეკულური რხევით.

$$2HD \rightleftharpoons H_2 + D_2 \qquad K = \frac{[H_2][D_2]}{[HD]^2} \quad (4)$$

როცა T = 0 K, დიატომური მოლეკულების რხევითი ენერგია, რომელთა რხევის სიხშირე არის ν [s^{-1}], გამოისახება შემდეგნაირად:

$$E = \frac{1}{2}h\nu \quad (5)$$

$$\nu = \frac{1}{2\pi}\sqrt{\frac{k}{\mu}} \quad (6)$$

სადაც k არის ძალური მუდმივა და μ დაყვანილი მასა, რომელიც გამოისახება დიატომურ მოლეკულის ატომთა მასების საშუალებით შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$\mu = \frac{m_1 m_2}{m_1 + m_2} \quad (7)$$

A.2 H_2-ის რხევა არის 4161.0 cm^{-1} როდესაც რხევა გამოისახება ტალღურ რიცხვებში. **გამოთვალეთ** ΔH J mol^{-1} ერთეულებში შემდეგი ტოლებისთვის თუ T = 0 K. 8pt

$$2HD \to H_2 + D_2 \quad (8)$$

დაუშვით, რომ:

- მხოლოდ რხევითი ენერგია ღებულობს მონაწილეობას ΔH.
- k -ს მნიშვნელობა H_2, HD, და D_2-თვის არის ერთნაირი.
- H-ის მასა უნდა იყოს 1 Da და D -ის მასა - 2 Da.

Q2-3

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

H_2, HD, და D_2-ის მოლური თანაფარდობა წონასწორულ მდგომარეობაში სისტემის ტემპერატურაზე არის დამოკიდებული. Δ_{D_2}განისაზღვრება, როგორც D_2 -ის მოლური თანაფარდობის ცვლილება.

$$\Delta_{D_2} = \frac{R_{D_2}}{R^*_{D_2}} - 1 \tag{9}$$

სადაც, R_{D_2} აღნიშნავს $\frac{[D_2]}{[H_2]}$ ფარდობას ნიმუშში და $R^*_{D_2}$ - $\frac{[D_2]}{[H_2]}$ ფარდობას $T \to +\infty$ ტემპერატურაზე. უნდა აღინიშნოს, რომ იზოტოპების განაწილება ხდება შემთხვევითი $T \to +\infty$ ტემპერატურაზე.

A.3	**გამოთვალეთ** Δ_{D_2} ბუნებრივი D გავრცელებით, როცა იზოტოპური მიმოცვლა არის წონასწორობაში ტემპერატურაზე, K ტოლობაში 4 არის 0.300. დაუშვით, რომ D და H-ს ბუნებრივი გავრცელების ფარდობა არის $1.5576 \times 10^{-4}\, 1 - 1.5576 \times 10^{-4}$, შესაბამისად.	10pt

ზოგადად, ორმაგად ჩანაცვლებული იზოტოპოლოგების მოლური თანაფარდობა, რომლის ერთი მოლეკულა შეიცავს 2 მძიმე იზოტოპურ ატომს, იზრდება ტემპერატურის შემცირებით. განვიხილოთ CO_2 მოლეკულების მოლური თანაფარდობა მოლური მასებით 44 და 47, რომელიც ქვევით განხილულია როგორც $CO_2[44]$ და $CO_2[47]$. Δ_{47}-ის რაოდენობა განისაზღვრება, როგორც:

$$\Delta_{47} = \frac{R_{47}}{R^*_{47}} - 1 \tag{10}$$

R_{47} აღნიშნავს $\frac{[CO_2[47]]}{[CO_2[44]]}$ ფარდობას ნიმუშში და R^*_{47} $\frac{[CO_2[47]]}{[CO_2[44]]}$ ფარდობას $T \to +\infty$ ტემპერატურაზე. ნახშირბადისა და ჟანგბადის ბუნებრივი გავრცელება მოცემულია ქვემოთ; არ მიაქციოთ ყურადღება იზოტოპებს, რომლებიც არაა მოყვანილი.

	^{12}C	^{13}C
ბუნებაში გავრცელება	0.988888	0.011112

	^{16}O	^{17}O	^{18}O
ბუნებაში გავრცელება	0.997621	0.0003790	0.0020000

Δ_{47}-ის ტემპერატურის დამოკიდებულება განისაზღვრება შემდეგი სახით, სადაც T არის აბსოლუტური ტემპერატურა კელვინებში K:

$$\Delta_{47} = \frac{36.2}{T^2} + 2.920 \times 10^{-4} \tag{11}$$

A.4 ანტარქტიკის ზღვაში აღმოჩენილი პლანქტონების ნამარხის R_{47} არის 4.50865×10^{-5}. **განსაზღვრეთ** ტემპერატურა R_{47}- ის გამოყენებით. ეს ტემპერატურა მიიჩნევა, როგორც ჰაერის ტემპერატურა იმ პერიოდის განმავლობაში, როცა პლანქტონი ცოცხლობდა. გამოთვლებისთვის გამოიყენეთ $CO_2[47]$- ის მხოლოდ ყველაზე მეტად გავრცელებული იზოტოპოლოგი . 9pt

A2-1

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

იზოტოპური დროის კაფსულა

A.1 (8 pt)

$T \to 0 : K =$ _____ , $T \to +\infty : K =$ _____

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

A.2 (8 pt)

$\Delta H =$ _____ J mol^{-1}

A.3 (10 pt)

$\Delta_{D_2} =$ _____

A.4 (9 pt)

$T =$ _____ K

GEO-3 C-3 C
Ketevan Peranidze

IChO
Problem 3
Cover sheet

Please return this cover sheet together with all the related question sheets.

Q3-1

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

ლამბერტ-ბერის კანონი?

8 % of the total				
Question	A.1	B.1	B.2	**Total**
Points	10	6	6	**22**
Score				

ამ ამოცანაში უგულებელყავით უჯრედის (კიუვეტის) და გამხსნელის შთანთქმა. ყველა ხსნარის და აირის ტემპერატურა მუდმივია 25 °C-ზე.

ნაწილი A

წყალხსნარი **X** მომზადებულია HA და NaA-ს გამოყენებით. **X** ხსნარში $[A^-]$, $[HA]$, და $[H^+]$ -ის კონცენტრაციები არის 1.00×10^{-2} mol L^{-1}, 1.00×10^{-3} mol L^{-1}, და 1.00×10^{-4} mol L^{-1}, შესაბამისად, რომლებიც ურთიერთკავშირშია შემდეგი მჟავა-ფუძე წონასწორობის მიხედვით:

$$HA \rightleftharpoons A^- + H^+ \qquad K = \frac{[A^-][H^+]}{[HA]} \tag{1}$$

ოპტიკური ფენის სისქე არის l ნაწილში A. უგულებელყავით სიმკვრივის ცვლილება განზავების პროცესში. ჩათვალეთ რომ 1 განტოლების გარდა სხვა რეაქცია არ მიმდინარეობს.

A.1 **X**-ის შთანთქმა იყო A_1ტალღის სიგრძეზე λ_1. შემდეგ ხსნარი **X** განზავეს ორჯერ მარილმჟავას გამოყენებით, რომლის pH = 2.500. განზავების შემდეგ შთანთქმა ისევ იყო A_1, λ_1-ზე. **განსაზღვრეთ** თანაფარდობა $\varepsilon_{HA}/\varepsilon_{A^-}$, სადაც ε_{HA} და ε_{A^-} წარმოადგენს HA-ს და A^--ის შთანთქმის კოეფიციენტს, შესაბამისად λ_1-ზე. 10pt


Elizbar Elizbarashvili (Georgia)

ნაწილი B

განვიხილოთ შემდეგი წონასწორობა აირად ფაზაში.

$$\mathrm{D} \rightleftharpoons 2\mathrm{M} \tag{2}$$

P წნევაზე, სუფთა აირი D მოათავსეს კუბისმაგვარ კონტეინერში, რომელსაც აქვს გამჭვირვალე, მოძრავი კედელი განივკვეთის ფართობით S (იხილეთ ნახაზი ქვევით). დამყარდა წონასწორობა და წნევა შენარჩუნებული იყო P-ზე. აირის შთანთქმა არის $A = \varepsilon(n/V)l$, სადაც ε, n, V, და l შესაბამისად არის შთანთქმის კოეფიციენტი, აირის რაოდენობა მოლებში, აირის მოცულობა, ფენის სისქე. ჩათვალეთ რომ ნარევის ყველა კომპონენტი იქცევა როგორც იდეალური აირი.



თუ საჭიროა გამოიყენეთ შემდეგი განმარტებები.

	საწყისი მდგომარეობა		წონასწორობის შემდეგ	
	D	M	D	M
პარციალური წნევა	P	0	p_D	p_M
რაოდენობა მოლებში	n_0	0	n_D	n_M
მოცულობა	V_0		V	

B.1 აირის შთანთქმა λ_{B1} -ზე, რომელიც გაზომილი იყო x მიმართულებიდან ($l = l_x$) იყო A_{B1} როგორც საწყის მდგომარეობაში, ისე წონასწორობის შემდეგ. **განსაზღვრეთ** თანაფარდობა $\varepsilon_\mathrm{D}/\varepsilon_\mathrm{M}$ λ_{B1}-ზე, სადაც ε_D და ε_M წარმოადგენს D და M-ის შთანთქმის კოეფიციენტებს, შესაბამისად. 6pt

B.2 აირის შთანთქმა λ_{B2}-ზე, რომელიც გაზომილი იყო y მიმართულებიდან იყო A_{B2} როგორც საწყის მდგომარეობაში ($l = l_{y0}$) ისე წონასწორობის შემდეგ ($l = l_y$). **განსაზღვრეთ** თანაფარდობა $\varepsilon_\mathrm{D}/\varepsilon_\mathrm{M}$ λ_{B2}-ზე. 6pt

A3-1

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

ლამბერტ-ბერის კანონი?

ნაწილი A

A.1 (10 pt)

(გრძელდება შემდეგ გვერდზე)

A.1 (cont.)

$\varepsilon_{HA}/\varepsilon_{A^-}$ = _____

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

ნაწილი B

B.1 (6 pt)

$\varepsilon_D/\varepsilon_M =$ _____

B.2 (6 pt)

$\varepsilon_D/\varepsilon_M =$ _____

GEO-3 C-4 C
Ketevan Peranidze

IChO
Problem 4
Cover sheet

Please return this cover sheet together with all the related question sheets.

Q4-1

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

თუთიის ჟანგვა-აღდგენითი ქიმია

11 % of the total							
Question	A.1	A.2	B.1	B.2	B.3	B.4	**Total**
Points	6	5	4	3	5	9	**32**
Score							



თუთია გამოიყენებოდა დიდი ხნის განმავლობაში შენადნობების დასამზადებლად, როგორიც არის მაგალითად, თითბერი და ფოლადი. სამრეწველო ჩამდინარე წყლებიდან თუთიის გამოყოფა ხდება დალექვით წყლის დეტოქსიფიცირებისთვის, და მიღებული ნალექიდან თუთიას აღადგენენ მეტალურ თუთიამდე ხელახალი გამოყენების მიზნით.

ნაწილი A

თუთიის ჰიდროქსიდის $Zn(OH)_2(s)$ გახსნის წონასწორობა 25 °C-ზე და შესაბამისი წონასწორობის კონსტანტები მოცემულია 1–4 ტოლობების სახით.

$$Zn(OH)_2(s) \rightleftharpoons Zn^{2+}(aq) + 2OH^-(aq) \qquad K_{sp} = 1.74 \times 10^{-17} \tag{1}$$

$$Zn(OH)_2(s) \rightleftharpoons Zn(OH)_2(aq) \qquad K_1 = 2.62 \times 10^{-6} \tag{2}$$

$$Zn(OH)_2(s) + 2OH^-(aq) \rightleftharpoons Zn(OH)_4^{2-}(aq) \qquad K_2 = 6.47 \times 10^{-2} \tag{3}$$

$$H_2O(l) \rightleftharpoons H^+(aq) + OH^-(aq) \qquad K_w = 1.00 \times 10^{-14} \tag{4}$$

თუთიის ხსნადობა, S, (თუთიის კონცენტრაცია ნაჯერ წყალხსნარში) მოცემულია მე-5 განტოლებაში. .

$$S = [Zn^{2+}(aq)] + [Zn(OH)_2(aq)] + [Zn(OH)_4^{2-}(aq)] \quad (5)$$

A.1 როცა დამყარებულია წონასწორობები, რომელიც მოცემულია 1–4 ტოლობებში, **გამოთვალეთ** pH-ის ზღვრები, რომელშიც $[Zn(OH)_2(aq)]$ არის ყველაზე მეტი $[Zn^{2+}(aq)]$, $[Zn(OH)_2(aq)]$ და$[Zn(OH)_4^{2-}(aq)]$-ს შორის. 6pt

A.2 მომზადდა $Zn(OH)_2(s)$-ის ნაჯერი წყალხსნარი pH = 7.00-ზე და შემდეგ გაიფილტრა. ფილტრატს დაამატეს NaOH ისე რომ pH მიეყვანათ 12.00-ზე. **გამოთვალეთ** თუთიის მოლური წილი (%) რომელიც დაილექება როცა pH იზრდება 7.00-დან 12.00-მდე. უგულებელყავით მოცულობის და ტემპერატურის ცვლილება. 5pt

ნაწილი B

შემდეგ გამოყოფილი თუთიის ჰიდროქსიდი გააცხელეს თუთიის ოქსიდის მიღების მიზნით, ქვემოთ მოცემული რეაქციის მიხედვით:

$$Zn(OH)_2(s) \rightarrow ZnO(s) + H_2O(l) \quad (6)$$

თუთიის ოქსიდი აღადგინეს მეტალურ თუთიამდე წყალბადთან რეაქციით:

$$ZnO(s) + H_2(g) \rightarrow Zn(s) + H_2O(g) \quad (7)$$

B.1 იმისათვის რომ (7) რეაქციაში შენარჩუნებული იყოს წყალბადის წნევა 1 ბარზე, აუცილებელია შემცირდეს წარმოქმნილი წყლის ორთქლის პარციალური წნევა. **გამოთვალეთ** წყლის ორთქლის პარციალური წნევის ზედა ზღვარი, რომელიც (7) რეაქციას მისცემს საშუალებას რომ წარიმართოს 300 °C-ზე. მოცემულია, გიბსის წარმოქმნის ენერგიები თუთიის ოქსიდის და წყლისთვის 300 °C-ზე და 1 ბარი წნევის პირობებში ყველა აირადი ნივთიერებისთვის $\Delta G_{ZnO}(300^\circ C) = -2.90 \times 10^2$ kJ mol^{-1} და $\Delta G_{H_2O}(300^\circ C) = -2.20 \times 10^2$ kJ mol^{-1}, შესაბამისად. 4pt

მეტალური თუთია გამოიყენება როგორც უარყოფითი ელექტროდი (ანოდი) მეტალ-აირი ტიპის ბატარეებში. ელექტროდი შედგება Zn-ის და ZnO-ისგან. ის იყენებს შემდეგ ჟანგვა-აღდგენით რეაქციას ელექტროენერგიის გენერირებისთვის, რომლის ელექტრომამოძრავებელი ძალა (ემძ. e.m.f.) 25 °C-ზე და 1 ბარ წნევაზე არის E°.

$$Zn(s) + \frac{1}{2}O_2(g) \rightarrow ZnO(s) \qquad E^\circ = 1.65\,V \quad (8)$$

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

B.2 თუთია-აირის ბატარეა განიმუხტა 20 mA-ზე 24 საათის განმავლობაში. **გამოთვალეთ** ბატარეის უარყოფითი ელექტროდის (ანოდის) მასის ცვლილება. 3pt



Mt. Fuji

B.3 განვიხილოთ ემძ-ს (e.m.f) ცვლილება თუთია-აირის ბატარეისთის გარემო პირობებზე დამოკიდებულებით. **გამოთვალეთ** ემძ (e.m.f.) Mt. Fuji-ის მწვერვალზე, სადაც ტემპერატურა და სიმაღლე არის შესაბამისად, $-38\,^{\circ}\mathrm{C}$ (თებერვალი) და 3776 მ. ატმოსფერული წნევა წარმოდგენილია 5pt

$$P\,[\mathrm{bar}] = 1.013 \times \left(1 - \frac{0.0065h}{T + 0.0065h + 273.15}\right)^{5.257} \qquad (9)$$

$h\,[\mathrm{m}]$ სიმაღლეზე და $T\,[^{\circ}\mathrm{C}]$ ტემპერატურაზე ამ განტოლებით. ჟანგბადის მოლური თანაფარდობა ატმოსფეროში არის 21%. რეაქციაში (8) გიბსის ენერგიის ცვლილება არის$\Delta G_{\mathrm{ZnO}}(-38^{\circ}\mathrm{C}) = -3.26 \times 10^{2}\ \mathrm{kJ\,mol^{-1}}$ $-38\,^{\circ}\mathrm{C}$ -ზე და 1 ბარ-ზე.

B.4 **გამოთვალეთ** გიბსის ენერგიის ცვლილება (6) რეაქციაში $25\,^{\circ}\mathrm{C}$-ზე. გაითვალიწინეთ, რომ აღდგენის სტანდარტული პოტენციალები, $E^{\circ}(\mathrm{Zn^{2+}/Zn})$ and $E^{\circ}(\mathrm{O_2/H_2O})$ $25\,^{\circ}\mathrm{C}$ -ზე და 1 ბარზე მოცემულია შესაბამისად, (10) და (11) განტოლებებში. 9pt

$$\mathrm{Zn^{2+} + 2e^{-} \rightarrow Zn} \qquad E^{\circ}(\mathrm{Zn^{2+}/Zn}) = -0.77\,\mathrm{V} \qquad (10)$$

$$\mathrm{O_2 + 4H^{+} + 4e^{-} \rightarrow 2H_2O} \qquad E^{\circ}(\mathrm{O_2/H_2O}) = 1.23\,\mathrm{V} \qquad (11)$$

A4-1

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

თუთიის ჟანგვა-აღდგენითი ქიმია

ნაწილი A

A.1 (6 pt)

_____ < pH < _____

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

A.2 (5 pt)

_____ %

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

ნაწილი B

B.1 (4 pt)

$p_{H_2O=}$ _____ bar

B.2 (3 pt)

_____ g

B.3 (5 pt)

V

B.4 (9 pt)

$\Delta G^\circ =$ _____ $\mathrm{J\,mol^{-1}}$

GEO-3 C-5 C
Ketevan Peranidze

IChO
Problem 5
Cover sheet


Please return this cover sheet together with all the related question sheets.

Q5-1

Elizbar Elizbarashvili (Georgia)

მისტიური სილიციუმი


12 % of the total								
Question	A.1	A.2	A.3	A.4	B.1	B.2	B.3	**Total**
Points	9	7	6	10	5	15	8	**60**
Score								



მიუხედავად იმისა, რომ სილიციუმი ნახშირბადის მსგავსად მე-14 ჯგუფის ელემენტია, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან თვისებებით.

ნაწილი A

ნახშირბად-ნახშირბად სამმაგი ბმისაგან განსხვავებით, $R^1–Si \equiv Si–R^1$ (R: ორგანული ფრაგმენტი) ტიპის ნაერთებში სილიციუმ-სილიციუმ სამმაგი ბმა ავლენს ექსტრემალურად მაღალ რეაქციისუნარიანობას. მაგალითად, იგი რეაქციაში შედის ეთილენთან და იძლევა ოთხწევრიან ციკლურ ნაერთს.ნახშირბად-ნახშირბად სამმაგი ბმისაგან განსხვავებით.




როდესაც $R^1–Si \equiv Si–R^1$ ნაერთი ურთიერთქმედებს ალკინთან $R^2–C \equiv C–R^2$, პირველ ეტაპზე საწყისი ინტერმედიატის სახით წარმოიქმნება ოთხწევრიანი ციკლური ნაერთი **A**. ნაერთის **A**

Q5-2

Elizbar Elizbarashvili (Georgia)


შემდგომი ურთიერთქმედებით $R^2–C\equiv C–R^2$-ის კიდევ ერთ მოლეკულასთან მიიღება იზომერები **B** და **C**. ორივე მათგანს აქვს ბენზოლის მსგავსი ციკლური შეუღლებული სტრუქტურა, ე.წ. „დისილაბენზოლები“, მოიცავენ ექვს წევრიან ციკლს და შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი სახით: $(R^1–Si)_2(R^2–C)_4$



Si_2C_4 ექვსწევრა ციკლური სტრუქტურების ^{13}C ბმრ ანალიზი აჩვენებს, რომ ნაერთს **B** აქვს ორი სიგნალი, ხოლო ნაერთს **A** - ერთი სიგნალი.

A.1 **დაწერეთ A**, **B** და **C**-ს ერთ-ერთი შესაძლო რეზონანსული სტრუქტურული ფორმულები R^1, R^2, Si-ის და **C**-ს გამოყენებით. 9pt

A.2 **გამოთვალეთ** ბენზოლისა და ნაერთის C (როდესაც $R^1 = R^2 = H$) არომატულობის სტაბილიზაციის ენერგია დადებითი მნიშვნელობების სახით. მხედველობაში მიიღეთ ქვემო მოცემულ სქემაზე მოყვანილი ზოგიერთი უჯერი სისტემის ჰიდრირების ენთალპიის ცვლილება (სურ. 1). 7pt



სურ. 1.

ნაერთის C ქსილოლის ხსნარის გაცხელება იწვევს მის იზომერიზაციას, რომლის დროსაც მიიღება ნაერთების **D** და **E** წონასწორული ნარევი მოლური თანაფარდობით **D** : **E** = 1 : 40.0 50.0 ˚C-ზე და **D : E** = 1 : 20.0 120.0 ˚C-ზე.

A.3	**D**-დან **E**-ში გარდაქმნისათვის **გამოთვალეთ** ΔH. ΔH არ არის დამოკიდებული ტემპერატურაზე.	6pt

C-დან **D**-ში და **E**-ში იზომერიზაცია მიმდინარეობს π ბმების σ-ბმებში გარდაქმნით რომელიმე σ-ბმის გახლეჩის გარეშე. ^{13}C ბმრ ანალიზი აჩვენებს, რომ Si_2C_4ჩონჩხის მქონე ნაერთს **D** აქვს ერთი სიგნალი, ხოლო ნაერთს **E** - ორი სიგნალი. ნაერთის **D** ჩონჩხი არ მოიცავს რამე სახის სამწევრიან ციკლებს, მაშინ როდესაც ნაერთი **E** მოიცავს საერთო ბმის მქონე ორ სამწევრიან ციკლს.

A.4	**დაწერეთ** ნაერთების **D** და **E** ფორმულები R^1, R^2, Si და C-ს გამოყენებით.	10pt

ნაწილი B

